მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №23(156) 2017 წ. 1-15 დეკემბერი ფასი 50 თეთრი

დანიშვნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილე

ალექსი გილაშვილი

დაიბადა 1982 წელს.

განათლება – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, კვალიფიკაცია – სამართალმცოდნე, მაგისტრთან გათანაბრებული (2000-2005წწ).

სამუშაო გამოცდილება: ქალაქ თბილისის მერიის კონსულტანტი (2007-2009წწ); ქ. თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის წამყვანი სპეციალისტი (2009-2010წ), ქ. თბილისის მერია. საქალაქო სამსახურის მთავარი სპეციალისტი (2010-2017წწ);

2017 წლის ნოემბრიდან დაინიშნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილედ.

ჰყავს დედა – ტასია ცხვარიაშვილი, კლინიკა „ლაიფ“-ის მეან-გინეკოლოგი.

საქმიანი ვიზიტი

ლექსო გილაშვილი:

„საფუძველი ჩავუყარეთ დამეგობრებას და ნაყოფიერ თანამშრომლობას“

ნოემბრის ბოლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის I მოადგილე ალექსი გილაშვილი და მერიის უფროსი სპეციალისტი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში ნინო ქურხული ოფიციალური ვიზიტით ლიტვაში იმყოფებოდნენ. როგორც ჩვენთან საუბარში ალექსი გილაშვილმა აღნიშნა:

– 22-27 ნოემბერს ჩვენთან ერთად ლიტვაში თბილისიდან პროფესორი მარიამ მანჯგალაძეც იმყოფებოდა. ჩვენ შირვინტოსის მუნიციპალიტეტში ვიყავით. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოსა და ლიტვას წლებია ტრადიციული მტკიცე პარტნიორობა და ურთიერთმხარდაჭერა აკავშირებთ. დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და ლიტვას შორის 1994 წლის 16 სექტემბრიდან დამყარდა. პარტნიორული ურთიერთობები ჩვენს ქვეყნებს შორის თითქმის ყველა სფეროშია. ქვეყნებს შორის 20-მდე საერთაშორისო შეთანხმებაა გაფორმებული, რომლებიც სამართლებრივ საფუძველს ქმნიან ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის ეკონომიკის, კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის და სხვა სფეროებში და ჩვენს მუნიციპალიტეტსა და ლიტვის შირვინტოსის მუნიციპალიტეტს შორის, როგორც დამეგობრებულ ქალაქებს შორის ოფიციალურად გაფორმდა ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებს მეგობრობის შემდგომ ხელშეწყობას, თანამშრომლობას, კულტურათა გაცვლას. კონკრეტულად კი ეს ხელშეკრულებები ითვალისწინებს: მხარეებს შორის კულტურის და ისტორიის სფეროში ინფორმაციის გაცვლას, ახალგაზრდობის კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, ქალაქის ეკონომიკის განვითარების კუთხით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, ასევე, გარემოს დაცვის საკითხებში, ინფორმაციის გაცვლას საუკეთესო პრაქტიკისა და მიღწევების შესახებ სხვა ქალაქებთან ურთიერთობებში და ჩვენი მიზანიც იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტისა და შირვინტოსის მუნიციპალიტეტის თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროებში, გამოცდილების გაზიარება და ერთობლივი პროექტების განხორციელება.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები ვესტუმრეთ შირვინტოსის ქალაქის მერს ჟივილე პინსუვიენს. ჩვენ ვისაუბრეთ ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივებზე და ამ შეხვედრისას გამოიკვეთა სოციალური, კულტურული, ეკოსისტემების გასაუმჯობესებელი და და სხვა პროექტები. ერთად შევამკეთ ყვავილებით ლიტვის თავისუფლებისათვის დაღუპული გმირის მემორიალი, დავათვალიერეთ ქალაქის ბიბლიოთეკა და გავეცანით მუნიციპალიტეტის სამუშაო პროცესს, მოვისმინეთ წარმატებული პროექტების შესახებ და მივიღეთ გამოცდილება, რომელსაც მომავალში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საქმიანობისას განვახორციელებთ.

– დელეგაციის წევრები, ასევე მიწვეულები ვიყავით შირვინტოსის კულტურის სახლის 70 წლის იუბილეზე, სადაც ალექსი გილაშვილმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა დარბაზს, – ***საუბარს ნინო ქურხული აგრძელებს***, – მან ისაუბრა ქართულ-ლიტვური ურთიერთობების მნიშვნელობაზე და წარმატებები უსურვა იქაური კულტურის მუშაკებს.

შიტვინტოსის მუნიციპალიტეტის მერმა ჟივილე პინსუვიენემ და ვიცე-მერმა ირენა ვისილიასკიენემ შირვინტოსის დაწყებით სკოლაში მიგვიწვიეს. მოსწავლეებმა ინტერესი გამოიჩინეს საქართველოსა და საგარეჯოს შესახებ, დასვეს არაერთი შეკითხვა. ალექსი გილაშვილმა მათ რამდენიმე ქართული სიტყვაც ასწავლა და პატარა მეგობრებიც შეიძინა.

მინდა გითხრათ, რომ მომავალში, გაზაფხულზე იგეგმება შირვონტოსის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მოპატიჟება, მათთან თანამშრომლობის გაფართოება, რაც ხელს შეუწყობს ქალაქების მჭიდრო დამეგობრებას და შემდგომი თანამშრომლობის მემორანდუმის გაფართოებას.

დანიშვნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის II მოადგილე

პაატა ასრათაშვილი

დაიბადა 1965 წელს

განათლება – უმაღლესი, სპეციალობა – სატყეო-საინჟინრო, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (1999-2003 წ.წ.)

სამუშაო გამოცდილება: მიწათმომწყობი – სოფელ ნინოწმინდის კოლმეურნეობაში (1986-1996 წ.წ.); მთავარი სპეციალისტი საგარეჯოს მიწის მართვის სამსახურში (1997-2005 წ.წ.); სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფროსი (2005-2016 წ.წ.); უფროსი – საქართველოს პარლამენტის წევრის, საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის რომან მუჩიაშვილის საგარეჯოს ბიუროში 2016 წლიდან.

2017 წლის 1 ოქტომბრიდან მუშაობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის I მოადგილედ.

ჰყავს მეუღლე – ეკა როსტიაშვილი და ორი შვილი – საბა და მარიამი.

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

5 დეკემბერი, 2017 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე* პაატა ასრათაშვილი** უძღვებოდა. თათბირს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან ერთად მერიის სამსახურებისა და განყოფილებათა უფროსებიც ესწრებოდნენ.

თათბირის მონაწილეებმა თითოეული სოფლის მიხედვით წარმოადგინეს პრობლემათა ჩამონათვალი, იმსჯელეს სოფლებისა და ქალაქის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობებზე, დასახეს გეგმა-დავალებები დაზიანებული გზების მოწესრიგებისათვის.

თათბირზე კონკრეტული დავალებები მიეცათ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურებისა და განყოფილებების უფროსებს, შპს „საგარეჯოს“ დირექტორს სანდრო უსტიაშვილს.

თათბირზე ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა* ნიკო ჯავახიშვილმა** გააკეთა ვრცელი ინფორმაცია „აგროწარმოების ხელშეწყობის“ პროგრამაზე, რომელიც საქართველოში ხორციელდება „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის პროექტის (AMMAR) ფარგლებში. როგორც მან აღნიშნა, პროგრამის მიზანია პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა; არსებული ბაღების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა; მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოებისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობა; საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. მან, ასევე, წარმოადგინა პროგრამის კომპონენტები, პრიორიტეტები. ამასთან, აღნიშნა, რომ პროგრამა ხორციელდება მიზნობრივ რეგიონებში: შიდა ქართლში, სამეგრელოში, კახეთსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური

შიდა აუდიტის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფის, ფინანსების მართვის გაუმჯობესების, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვისა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობის უზრუნველყოფა, მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, სამართლებრივი, ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოფხვრა და პრევენცია; მენეჯერული და ფინანსური კონტროლის განხორციელება, ორგანიზაციული სტრუქტურის, მეთოდებისა და პროცედურების ანალიზი დაწესებულების მიერ თავის მიზნების მიღწევისა და საქმიანობის კანონიერად, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი

ზურაბ კავთუაშვილი

დაიბადა 1959 წელს ქ. თბილისში

1977-1982 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1975-1976 წლებში მუშაობდა საგარეჯოს სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმის კლუბის დირექტორად; 1976-77 წლებში მუშაობდა საგარეჯოს სოფლტექნიკის გაერთიანებაში მუშად; 1982-83 წლებში იყო საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტის მდივანი; 1983 წელს იყო კომკავშირის საგარეჯოს რაიკომის III მდივანი, ხოლო 1983-1986 წლებში I მდივანი; 1986-1987 წლებში სოფელ ნინოწმინდის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანია;

1987-90 წლებში მუშაობდა საგარეჯოს რაიონული პროკურატურის სტაჟიორგამომძიებლად, ხოლო 1992-2004 წლებში საგარეჯოს რაიონული პროკურორის თანაშემწედ; 2005-2007 წლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის კახეთის სამმართველოს გამომძიებელია; 2007 წელს მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის კახეთი-ქვემო ქართლის სამმართველოს უფროს გამომძიებლად, ხოლო 2007-2009 წლებში ამავე სამინისტროს სამხედრო პოლიციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროს გამომძიებლად; 2009-2011 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს გამომძიებლად.

II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

დიმიტრი ლასურაშვილი

დაიბადა 1976 წელს.

განათლება – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტი, კვალიფიკაცია – ეკონომისტი (1993-1998წწ); საგარეჯოს პოლიტექნიკური კოლეჯი, კვალიფიკაცია – იურისტი.

სამუშაო გამოცდილება – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური – ინსპექტორი, მთავარი ინსპექტორი, განყოფილების უფროსი (1999-2009წწ);

კერძო ბიზნესი (2009-2014წწ).

2014 წლის ოქტომბრიდან დღემდე შიდა აუდიტის სამსახურის ჯერ მთავარი სპეციალისტია, შემდეგ II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ეკატერინე რუსიშვილი

დაიბადა 1982 წელს;

განათლება – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქიმიის ფაკულტეტი, კვალიფიკაცია – ქიმიკოსი-ექსპერტი (2000-2004წწ);

სამუშაო გამოცდილება: სუპერმარკეტი „მიქსი“ – კონსულტანტი-მოლარე;

„სანტე ჯი ემთი“ პროდუქტები – დახარისხების თანამშრომელი, სასტუმრო „კალანგა“ – ადმინისტრატორი, მენეჯერი; კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება – პედაგოგი;

2014 წლის ოქტომბრიდან შიდა აუდიტის სამსახურის ჯერ მთავარი სპეციალისტია შემდეგ II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

შენთვის, გრანტის მძებნელო!

დღის წესრიგშია კიდევ ერთი ახალი საგრანტო პროექტი

ZIDF _ იდეების განვითარების ფონდი ახორციელებს საქართველოში არასაკონკურენციო საგრანტო პროექტს, რომლის მიზანია:

– საქართველოს მოქალაქეების მასობრივი ჩართულობა პროექტის განხორციელებაში, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და წინსვლას.

– თითოეული ბენეფიციარის ოჯახის მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საგრანტო პროექტში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს:

საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომლის ასაკი აღემატება 18 წელს და სურვილი აქვს დაიწყოს ან გააფართოოს თავისი ბიზნეს-საქმიანობა.

მოქალაქეს, რომელსაც მიღებული აქვს რომელიმე საგრანტო ფონდიდან გარკვეული რაოდენობის თანხა შეუძლია მონაწილეობის მიღება ჩვენს საგრანტო პროექტშიც, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, მან უნდა დაასაბუთოს, რომ ახალი პროექტის დაწყება ხელს არ შეუშლის ძველის შესრულებას და პირიქით...

გრანტის მოპოვებისათვის განაცხადის წარდგენის უფლება აქვთ ოჯახის წევრებს თუ მათი ბიზნეს საქმიანობა წარმოდგენილია სხვადასხვა მიმართულებით...

საგრანტო პროექტი დააფინანსებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის, ასევე წარმოების, ტურიზმის, მომსახურეობის სფეროსა და კომერციული საქმიანობისთვის წარმოდგენილ ბიზნეს-გეგმებს.

საგრანტო პროექტის განხორციელების მიმდინარე ეტაპზე, თითოეულ პროექტზე გასაცემი გრანტის ოდენობა შეადგენს 200 დან 30 000 დოლარამდე თანხას.

ფონდი ბენეფიციარისგან არ ითხოვს თანადაფინანსებას, თუმცა არ ეწინააღმდეგება ბენეფიციარს თუ მას სურვილი აქვს დამატებით თვითონ გაიღოს თანხა ბიზნეს-საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. ბიზნეს იდეა ორიენტირებული უნდა იყოს მოგებაზე. პროექტით წარმოდგენილი ბიზნეს გეგმა გათვლილი უნდა იყოს გრძელვადიან, პერსპექტიულ საქმიანობაზე. მნიშვნელოვანია პროექტის მდგრადობის არგუმენტი. მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები. საპროექტო განაცხადი ივსება იდეების განვითარების ფონდის მიერ შემუშავებული ტიპიური ფორმის მიხედვით. /მუშაობის პირველ ეტაპზე/ იდეების განვითარების ფონდის მუშაობის მეორე ეტაპზე განმცხადებელი /ბენეფიციარი/ ავსებს ფონდის მიერ შემუშავებულ საპროექტო ფორმას, სადაც განთავსდება ბიზნეს-გეგმა, მცირე ინფორმაცია პროექტის განხორციელების, მდგრადობის, მოსალოდნელი შედეგებისა და რისკების შესახებ...

განმცხადებლის ინფორმირება:

პროექტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება განმცხადებელს ეცნობება ტელეფონის ან ელ/ფოსტის საშუალებით

ასევე, ინფორმაცია პროექტის შესახებ განთავსდება ფონდის ელექტრონულ გვერდზე.

განაცხადების მიღებისათვის ოფისები გახსნილია საქართველოს ყველა რეგიონში.

დარეჯან გილაშვილი,

განაცხადების შევსების მსურველებს შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომრებზე 591 288 307 555 57 24 25

მისამართი; ქ. საგარეჯო ცხვედაძის ქუჩა 23 /მუზეუმის უბანი/

ანბარიშს აბარებს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი

მუნიციპალიტეტის მერის რწმუნებული
ნანა ტაველიშვილი

ბადიაური

მოსახლეობა – 1575 კაცი
კომლი – 462
სასოფლო-სამეურნეო სავარგულები:
მიწის ფართობი
სულ – 5998 ჰა
აქედან
კერძო – 1714ჰა
სახელმწიფო – 4266
სასოფლო-სამეურნეო მიწები
სულ – 4595ჰა
აქედან
კერძო – 2686ჰა
სახელმწიფო – 1909ჰა
სახნავი
სულ – 1703ჰა
კერძო – 1353ჰა
სახელმწიფო – 350ჰა
მუნიციპალური – 0
სათიბი – 0
საძოვარი
სულ – 2566ჰა
აქედან
კერძო – 1007ჰა
სახელმწიფო – 1575ჰა
მრავალწლიანი ნარგავები
სულ – 272ჰა
აქედან
კკერძო – 272ჰა
საკარმიდამო
სულ – 42ჰა
აქედან
სახნავი – 28ჰა
მრავალწლიანი – 14 ჰა.

ინფრასტრუქტურა

სასმელი წყალი

ბადიაურის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესებისათვის წლების განმავლობაში მიზანმიმართულად იყო გამოყენებული პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტებისათვის გამოყოფილი თანხები. ასე, მაგალითად, 2008 წელს ამ პროგრამით (58700 ლარი) მოხდა ორი პროექტის განხორციელება (54700 ლარი და 4000 ლარით დაფინანსება).

2009 წელს ბადიაურის დაზიანებული წყალსადენის აღსადგენად 12 000 ლარი გაიხარჯა.

2010 წელს „ღვინის ქარხნის და მესეტყვეების უბნის“ სასმელი წყლის ქსელის შეკეთებაზე 25000 ლარი, ხოლო სასმელი წყლის სათავის აღსადგენად – 38800 ლარი.

არც შემდეგ წლებში მოჰკლებია სოფლის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემების მოგვარებას მზრუნველობა. 2013 წელს 31258 ლარი მოხმარდა აქ სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოებს. 2014 წელს სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობასა და შიდა ქსელის მოწესრიგებაზე 18820 ლარი გაიხარჯა. 2015 წელს სოფელში ე.წ. „სოკარის წყლის“ ქსელით მოსახლეობის მომარაგებამ ნაწილობრივ მოხსნა სასმელი წყლის მომარაგების პრობლება. სწორედ ამ ქსელის რეაბილიტაციას მოხმარდა 2016 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამიდან გამოყოფილი თანხა – 18820 ლარი.

2017 წელს 4 კმ მანძილზე შეიცვალა „სოკარის წყლის“ მილები. მიმართულება შეეცვალა ზემო ყანდაურიდან მომდინარე სასმელი წყლის მილებს.

გზები

2014 წელს 2015 წლისათვის ბადიაურის ე.წ. „სკოლის გზის“ აღდგენაზე რეგიონული განვითარების ფონდიდან 300000 ლარი იქნა გამოყოფილი.

2015 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით, შიდა ქსელების რეაბილიტაციასა და სანიღვრე არხების – 30849 ლარი.

2014 წელს სოფელში რეაბილიტაცია გაუკეთდა სპორტულ დარბაზს, რაზედაც 14725 ლარი გაიხარჯა, მოეწყო მინი სტადიონი (16000 ლარი), გაკეთდა, ასევე ვენახებთან მისასვლელი ბოგირი (500 ლარი).

2017 წელი

2015-2016 წლებში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამიდან მორჩენილი თანხებით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეზოს კეთილმოწყობისათვის 3709 ლარის სათამაშოები იქნა შეძენილი, გარე განათება გაკეთდა ორ უბანზე (10000 ლარი);

განათლება-აღზრდა

სოფელში ფუნქციონირებს საჯარო სკოლა (დირექტორი ციური გიქორაშვილი)

სკოლაში ამჟამად შენობის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტი მართლაც მნიშვნელოვანია და მისი განხორციელება ხელს შეუწყობს აქაური მოსწავლეებისათვის ნორმალური სასწავლო-სააღმზრდელო პირობების შექმნას.

ასევე, რეაბილიტაცია მიმდინარეობს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობის (90000 ლარი).

კულტურა

სოფელში ფუნქციონირებს სასოფლო კლუბი (საკლუბო მუშაობის სპეციალისტი მზია ხორბალაძე), სადაც სოფლის ახალგაზრდობა, მოსწავლეები საკლუბო მუშაობის სპეციალისტთან ერთად საინტერესო ღონისძიებებს ატარებენ.

სპორტი

სოფელში კარატეს სექციაში (მწვრთნელი ვანო გიგილოშვილი) ბადიაურელი მოჭიდავეები ფიზიკურად იწვრთნებიან.

სამედიცინო მომსახურება

სოფლის მოსახლეობის (და არა მარტო ბადიაურის) ჯანდაცვას აქაური საოჯახო მედიცინის ცენტრის ექიმები ეთერ ცხადაძე, ცინარი აბესაძე და მედიცინის დები – მზია ჯავახიშვილი და მარინე პაპუაშვილი ემსახურებიან.

პრობლემები

მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამიდან გამოყოფილი 14100 ლარით ნაგავმზიდი მანქანა შეიძინა სოფელმა, (ერთი პერიოდი დაზიანების გამო უმოქმედოდაც იყო), დღეს სოფლიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას (და არა მარტო ამ სოფლიდან) დადგენილი გრაფიკით ასრულებს, სოფელი მაინც ხშირად გამოთქვამს უკმაყოფილებას ბადიაური-იორმუღანლოს დამაკავშირებელი გზის ნაპირების დაბინძურების გამო. ასევე, გამვლელი მანქანებიდან ბინძურდება რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალის გასწვრივ არსებული ტერიტორია. ამიტომ სოფლის ხელმძღვანელობის და მოსახლეობის მიერ ხშირად ეწყობა ტერიტორიების დასუფთავება. პრობლემებს ქმნის სტიქიური, მოსახლეობის თვითნებობით არსებული ნაგავსაყრელი, რომელიც სერიოზულ ყურადღებას ითხოვს.

სოფლად აუცილებელია:

– რამდენიმე უბანში გარე განათების დამონტაჟება

– შიდა გზების მოწესრიგება;

„სოკარის წყალზე“ არსებული 7 შემკრების თავსახურავის გაკეთება და წყლის დაქლორვა.

– ზემო ყანდაურაში არსებული სასმელ წყალზე მარეგულირებლის დანიშვნა.

– ელექტროენერგიის გადამცემი საყრდენი ბოძების შეცვლა და დახურული ელექტროკაბელის გაკეთება.

– ე.წ. „კალონკის“ 800-მეტრიანი მილის ჩადება და იქ ორი სასმელი წყლის ონკანის გამოყვანა.

– ერთ დროს ევროსტანდარტებით გაკეთებული „საოჯახო მედიცინის ცენტრის“ (ამბულატორია) შენობას ჭერის შეკეთება სჭირდება.

კონკურსში გამარჯვებული საუკეთესო ესეს ავტორი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის „ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია სკოლაში“ ფარგლებში ქალაქ თბილისის 55-ე საჯარო სკოლაში ჩატარდა „კრეატიული ესეს წერის“ კონკურსი. კონკურსის მიზანი იყო ჯანსაღი ცხოვრების წესის თემაზე გამოვლენილიყო საუკეთესო ესეს ავტორი.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობას იღებდა საქართველოს სხვადასხვა სკოლებიდან 200 მონაწილე.

მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა სამი საკონკურსო თემიდან აერჩიათ ერთი. საკონკურსო ნაშრომები შეაფასა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს “ჰელფინგ ჰენდ”-ის წარმომადგენლების, პუბლიცისტების, მწერლებისა და შესაბამისი სფეროს ექსპერტებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ. შერჩეულ იქნა 3 საუკეთესო ესსე .

მოსწავლეებს წარედგინათ თემის სათაურები.1.„ჩემი სკოლის ბუფეტი“.2. „მე რომ ჯანდაცვის მინისტრი ვიყო“ და 3.„იყო და არა იყო რა, იყო ერთი ველოსიპედი...“

2017 წლის 29 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საზეიმო ღონისძიებაზე გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

პირველი ადგილი მოიპოვა და კონკურსის გამარჯვებული გახდა ***გიორგი ლეონიძის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასის მოსწავლე*** **თამარ ცხვარიაშვილი**. (ესე: „იყო და არა იყო რა , იყო ერთი ველოსიპედი...“. განათლების სამინისტროსა და ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდისაგან” თამარ ცხვარიაშვილი დაჯილდოვდა გამარჯვებულის დიპლომითა და ნოუთბუქით.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲚᲖᲐᲠᲓᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ

ᲚᲐᲛᲑᲐᲚᲝᲡ №1 ალტერნატიული საბავშვო ბაღი ყოფილი სასოფლო საბჭოს ერთსართულიანი შენობის სამ პატარა ოთახშია განთავსებული, თუმცა, ამ პატარა ოთახებში იმხელა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე კეთდება, რასაც ქვეყნის ბევრი ამ ტიპის დაწესებულება ვერ დაიტრაბახებს. აქ,ამ ბაღის კედლებში ჩვენი პატარა აზერბაიჯანელი მოქალაქეები ადრეული ასაკიდანვე ეუფლებიან ქართული, ჩვენი სახელმწიფო ენის საფუძვლებს, რაც ხელს შეუწყობს მათ ქართული ენის სრულყოფილად შესწავლასა და მომავალში ქვეყნის საზოგადოებრივ სივრცეში ინტეგრირებასა და სათანადო ადგილის დაკავებაში. ამ კეთილშობილურ საქმეს აგერ უკვე მერამდენე წელია თავდაუზოგავად ემსახურება გასაოცარი ენერგიის მქონე და აზერბაიჯანული ენის კარგად მცოდნე მასწავლებელი **თეა ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ**, რომელმაც პედაგოგობასთან ერთად, ჩვენი გაზეთის მკითხველს თავი საკუთარი, კარგად ჩამოძერწილი ლექსებითაც დაამახსოვრა. თეა ამ ბაღის დაარსების დღიდან ემსახურება პატარების სწავლა-აღზრდის საქმეს. ამიტომ გასაკვირი არაა,რომ თავისი ასეთი თავდადებისა და აქტიურობის გამო ჩვენი

გაზეთის არც თუ ისე იშვიათი სტუმარია.

ამ დღეებში ჩვენ კვლავ ვეწვიეთ ქ-ნ თეასა და მის აღსაზრდელებს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმაში, რომ თუ ადამიანი გულით ეკიდება საქმეს, სულ მცირედითაც შეიძლება კარგი საქმის კეთება. დარბაზი, რომელშიც თეას 26 აღსაზრდელი დაგვიხვდა, მასწავლებლის ხელით დახატულ-დამზადებული თვალსაჩინოების ლამაზი მასალებითაა მორთული. ეს მასალები, გარდა ესთეტიკური სიამოვნებისა, პატარებს ეხმარებათ ქართული „ანა-ბანას“ შესწავლასა და მართლმეტყველების დაუფლებაში, ფერების გამოცნობაში, თავიანთი პირველი დამოუკიდებელი ქართული სიტყვების წარმოთქმაში – მათი დახმარებით ისინი საუბრობენ ფერების, ოთახში არსებული ნივთების, ადამიანის სხეულის ნაწილების, ცხოველების, ფრინველების შესახებ.

პატარები ასევე თავისუფლად ასახელებენ ხილის, ტრანსპორტის, საოჯახო ნივთების სახელებს. იციან, რა ნივთებია სამზარეულოში, ტანსაცმლის კარადაში, რა ნივთებია საჭირო ჰიგიენისათვის და ა.შ. ბავშვები ზუსტად პასუხობენ წელიწადის დროების, კვირის დღეების, სახელის, ასაკის, გვარის შესახებ დასმულ კითხვებზე. ადგენენ მარტივ, 2-3 სიტყვიან წინადადებებს ქართულად და თარგმნიან აზერბაიჯანულ ენაზე.

თეა მასწავლებელს მათთვის ბევრი ქართული ლექსი და სიმღერაც შეუსწავლებია, რომელთა წარმოთქმაშიც ტოლს არ უდებენ ერთმანეთს. და ეს ყველაფერი ხდება სულ რაღაც 3-4 საათში, ნახევარ დღეშიც კი არა. პირველ საათზე კი ისინი საყვარელ თეა მასწავლებელსა და ბაღს დროებით ემშვიდობებიან, რომ სახლში დასვენებულებმა მეორე დღეს განახლებული ენერგიით განაახლონ მათთვის ჯერ-ჯერობით „უცნობი“ ქართული ენის შესწავლა, რომელიც ამ პატარა გოგო-ბიჭებს თანდათან ცხოვრების დიდ გზაზე გაიყვანს.

ᲜᲘᲜᲝᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲯᲝᲡ მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, რეაბილიტირებული საბავშვო ბაღი გაიხსნა. ახლადგახსნილი ბაღი ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა*** **ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲔᲠᲑᲝᲪᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ**, ***მერის მოადგილემ*** **ᲞᲐᲐᲢᲐ ᲐᲡᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ**, ***საკრებულოს თავმჯდომარემ*** **ᲝᲗᲐᲠ ᲩᲐᲚᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ**, ***პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსმა*** **ᲐᲠᲩᲘᲚ ᲯᲐᲑᲐᲓᲐᲠᲛᲐ**, ***ა.ა.ი.პ საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა დირექტორმა*** **ᲔᲚᲖᲐ ᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა დაათვალიერეს. აღსანიშნავია, რომ სოფელ ნინოწმინდის საბავშვო ბაღი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყო და საჭირო ინვენტარით აღიჭურვა. დაწესებულებაში მოქმედებს ოთხი ჯგუფი, სადაც 70 აღსაზრდელია, თუმცა ვარაუდობენ, რომ ახალგარემონტებულ საბავშვო ბაღში ბავშვთა რაოდენობა მოიმატებს. სააღმზრდელო დაწესებულების სრული რეაბილიტაციის ღირებულებამ, რომელიც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა 227 580 ლარი შეადგინა. აღნიშნულ საბავშვო ბაღში 38 წლის განმავლობაში ასეთი მნიშვნელოვანი და ფართო მასშტაბის ინფრასტრუქტურული სამუშაოები არ ჩატარებულა .

სასკოლო ცხოვრება

აქ ქვეყნის მომავალი იძერნება

დასასრული
(დასაწყისი იხილეთ „გარეჯის მაცნე“ №22-ში)

„კინო სკოლაში“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ერთობლივი თანამშრომლობით). პროექტის მიზანია მოსწავლეებში კინოხელოვნების ხელმისაწვდომობის გაზრდა და კინოხელოვნების ეროვნული, კულტურული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების საშუალებით მოზარდების სააზროვნო და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა-განვითარება. მოსწავლეები გაეცნობიან 20-მდე მსოფლიო და ქართულ კინო-კლასიკას.

„აღმოაჩინე საქართველო“ – პროექტის მიზანია ადგილობრივ დონეზე მდგრადი ეკო და სატყეო ტურისტული პროდუქტების განვითარების გზით და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მოსწავლეებში გარემოსდაცვით ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა.

საგარეჯოს №4 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა 2017 წლის თებერვალში 3 პროექტი წარმოადგინეს – ასოციაცია „სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსათვის“ დაფინანსდა 2 პროექტი: „ჯანსაღი ცხოვრება“ და „კეთილმოწყობილი კლუბი ახალი იდეებისათვის“. სკოლამ მიიღო პროექტით გათვალისწინებული ინვენტარი: პრინტერი, ლეპტოპი, ტენისის მაგიდა, სხვადასხვა სპორტული ინვენტარი, საკანცელარიო ნივთები. ამ პროექტის ფარგლებში მოეწყო საცდელი სამეურნეო მიწის ნაკვეთი წვეთოვანი მორწყვით, სადაც ამჟამად დათესილია ისპანახი. გაზაფხულისათვის ამ ნაკვეთზე გაშენდება მარწყვის, ჟოლოს და მაყვლის პლანტაციები. აღნიშნულ პროექტში სკოლის მოსწავლეთა ჩართულობა გრძელდება. მოსწავლეები მუშაობენ და წარადგენენ 2 ახალ პროექტს დაფინანსების მოსაპოვებლად.

სკოლა ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა“ პროგრამაში.

აღსანიშნავია დაწყებითი კლასების მასწავლებლების მუშაობა. თავდაუზოგავად, მიზანმიმართულად. მუდმივად სიახლეების ძიებასა და დანერგვაში მიმდინარეობს მათი ყოველი დღე. არ შეიძლება არ გამოვყო მათი შემოქმედებითობა, რაც სკოლას განსაკუთრებულ ელფერს და სტატუსს აძლევს. ისინი ახლაც ემზადებიან საშემოდგომო სასწავლო რესურსების გამოფენებისათვის.

სამოქალაქო განათლების მასწავლებელი მთვარისა ბაღათრიშვილი თანამშრომლობს სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან და პროგრამა „მომავლის თაობასთან“, პროგრამის ფარგლებში შექმნილია სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელოები, მონაწილეობას იღებს მათი გამოყენებისა და გარე დაკვირვების კვლევაში.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მაია კუჭუაშვილი მონაწილეობს ილიას უნივერსიტეტის კვლევაში: „ინტერკულტურული სწავლება“.

– რამდენადაც ვიცი, სკოლაში წარმატებულად მუშაობენ სასკოლო წრეები და მათი წევრები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის კვლევებში...

– კი, ჩვენთან ასეთი ბევრი წრეა, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში და სხვა. ტარდება ტესტირება, მიმდინარეობს კვლევები, ანალიზი და სამომავლო გეგმების დასახვა.

ქართული ენა ლიტერატურის მასწავლებელმა მანანა გილაშვილმა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელმა მთვარისა ბაღათრიშვილმა სკოლის მოსწავლეებს შორის ჩაატარეს კვლევა თემაზე: აგრესია არასრულწლოვანთა შორის. შედეგები საოცარი იყო.

განათლების და მეცნიერების სამინისტროს და Macmillan Edukation-ს შორის თანამშრომლობის ფარგლებში, 2017 წლის 21 მარტს, განხორციელდა საკლასო დაკვირვება, რომლის მიზანს Macmillan Edukation-ის სახელმძღვანელოებით ინგლისური ენის სწავლების ხარისხის კვლევა წარმოადგენდა. დაკვირვება მოხდა ია კუპატაძის (6კლ) და ნინო ხვთისავრიშვილის (8კლ) გაკვეთილებზე.

– IV საჯარო სკოლის პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და ღონისძიებებში. თუ შეიძლება მკითხველს გააცანით ისინი?

ნინო ხაბაზიშვილი – ***ინგლისური ენის პედაგოგი*** – მომხსენებელი ინგლისური ენის მასწავლებელთა კონფერენციაზე – „სამოქალაქო განათლება ინგლისური ენის სწავლების საშუალებით“. საკონფერენციო თემა – „აუდიოვიზუალური განათლება-სასკოლო ამბები.

ტოტსი – ინგლისური ენის მასწავლებელთა საზაფხულო ბანაკი – ამერიკის შეერთებული შტატები, ვერმონტი, ტრენერთა მოსამზადებელი პროგრამა – ორგანიზაცია hp internacional-World learning, ტრენერის სერტიფიკატი.

ონლაინ კურსი ტრენერთა პროგრამის მომზადებაში. hp internacional-World learning, ტრენინგ მოდელის შექმნა.

ინგლისური ენის მასწავლებელთა დასკვნითი კონფერენცია hp internacional – კონფერენციის მომხსენებელი. კონფერენციის თემა – მეტყველების სწავლების ინოვაციური მიდგომები.

კონფერენცია მაიკროსოფტი – სკაიპ გაკვეთილების დაგეგმვა ორგანიზაცია Microsoft Georgia, – კონფერენციის მონაწილე.

Microsoft Georgia, – ინგლისური ენის მასწავლებელთა პროექტი – ასწავლე კომპიუტერს. ქართული პროექტის მონაწილე.

გამოცდილების გაზიარება კოლეგებთან – ჩატარებული სამი ვორქშოფი. თემა – გრამატიკის სწავლების ინოვაციური მიდგომები, მეტყველების სწავლების ინოვაციური მიდგომები.

სამოქალაქო განათლება და ინგლისური გაკვეთილის დაგეგმვა.

ქეთევან ქვლივიძე – ***ისტორიის მასწავლებელი.***

იმსა-ს სამეცნიერო-კვლევითი საველე ექსპედიცია „შამქორის ციხე-განჯა“ (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), 22.04.2017წ.

მასწავლებელთა ეროვნული ცენტრის ტრენინგი „ისტორიის სწავლების მეთოდიკა საქართველოს ისტორიის მაგალითზე უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე.

კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს პროექტი: „მოსწავლეები – კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის მიღების შემდეგ მოსწავლეებთან ერთად მოამზადა ოთხი პრეზენტაცია რაიონის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. მონაწილეობას იღებს ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის (იმსა) მუშაობაში, როგორც გამგეობის წევრი. სკოლის მოსწავლეებთან ერთად ჩართულია პროექტში: „ნორჩ ისტორიკოსთა სკოლა“, პერიოდულად ესწრებიან ლექციებს, სამუზეუმო პროექტებს, ასევე საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად მუშაობენ სამუზეუმო რესურსების საგანმანათლებლო პროექტებზე. თანამშრომლობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თავისუფალი გაკვეთილების თემატიკასა და დაგეგმვის საკითხებზე V-VI კლასებისათვის. მონაწილეობს იმსა-ს და თბილისის მერიის სამუზეუმო პროექტში „ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამა: „ზაქარია ფალიაშვილის ეთნოგრაფიული მოგზაურობა“. იგივე ასოციაციის და საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრის ტრენინგ-პროგრამაში თემაზე „მუზეუმი, როგორც საგაკვეთილო რესურსი“. ასევე მონაწილეობდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული სქემის ახალი ვარიანტის კახეთის რეგიონში ფასილიტაციის ფოკუს-ჯგუფში.

ნინო ხვთისავრიშვილი – გაიარა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და ბრიტანული საბჭოების ერთობლივი ტრენინგი: „ტექნოლოგიების გამოყენება ინგლისური ენის გაკვეთილზე“.

გეოგრაფიის მასწავლებელი **მარადი ჟურდოვანიძე** არის ფასილიტატორი მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტში, რომელიც ხორციელდება „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგი (მოდული I და მოდული II) გაიარა კიდევ ექვსმა პედაგოგმა და დირექტორმა და ა.შ.

ამ პედაგოგების ხელმძღვანელობით სკოლის მოსწავლეთა მიერ რეგულარულად იმართება სასკოლო კონკურსები, პროექტები, კონფერენციები სხვადასხვა საგნებში და ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენების ირგვლივ. მუდმივად ვაწყობთ სხვადასხვა თემატიკის გამოფენებს, რომლებიც მოსწავლეთა და მშობელთა აქტიური მონაწილეობით ხორციელდება. ჩვენთან ასევე ტრადიციადაა ქცეული შემოქმედ მშობელთა პერსონალური გამოფენები, რომლებიც ახლაც ამშვენებენ სკოლის ფოიეს.

ჩვენი სკოლა და მისი მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ ქვეყნის მასშტაბით გამართულ საგანმანათლებლო პროექტებშიც. ევროპულ აკადემიურ კონკურს „ისტორიანში მონაწილეობდა მოსწავლე **ლუკა ქვლივიძე**. XI კლასის მოსწავლე დიანა გრძელიშვილი ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებულ ინტერვიუების კონკურსში.

VII და IX კლასელებმა მონაწილეობა მიიღეს თსუ-ს მიერ გამოცხადებულ ფოტოკონკურსში სახელწოდებით „შენი თვალით დანახული საქართველო“ და „ფოტოსინთეზი-2017-ში „ეს ჩემი ტყეა“. 4 მოსწავლის ნამუშევრები შეირჩა ფინალისათვის. ნუცა ბალახაშვილის ნამუშევრებმა რესპუბლიკის მასშტაბით მე-3 ადგილი დაიკავა. დაჯილდოვდა დიპლომით, ფასიანი საჩუქრით და მოსამზადებელი განყოფილების ვაუჩერით.

მოსწავლეთა რესპუბლიკურ 71-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე წარდგენილი იყო 8 თემა. მე-8 კლასის მოსწავლე დავით მეკოკიშვილის თემა „საგარეჯოს ღირსშესანიშნავი ძეგლები“ და მე-9 კლასის მოსწავლე ნიკოლოზ მეკოკიშვილის თემა „ოქსიდები“ – გამოცხადდა გამარჯვებულ თემებად და დაჯილდოვდნენ.

უკვე 6 წელია აქტიური თანამშრომლობა გვაკავშირებს თსუ-ს სკოლა-უნივერსიტეტთან. ხშირია კონკურსებსა და სიმპოზიუმებში მოსწავლეთა მონაწილეობა.

საქართველოს „ნორჩ ისტორიკოსთა სკოლის“ წევრები არიან მე-8 კლსის მოსწავლე ლუკა ქვლივიძე და მე-11 კლასის მოსწავლე ნიკა ქვლივიძე, რომლებიც ასევე აქტიურად ატარებენ სასკოლო პრეზენტაციებს სკოლის მოსწავლეთათვის.

საპატრიარქოს მიერ ინიცირებულ პროექტში – „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“, წელს მონაწილეობა მიიღო უფროსკლასელთა გუნდმა.

კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს პროექტი: „მოსწავლეები – კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“ – სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო ქეთევან ქვლივიძემ, შემდეგ მოსწავლეებთან ერთად მოამზადა 4 პრეზენტაცია რაიონის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის (იმსა) და თბილისის მერიის ერთობლივ სამუზეუმო პროექტში მონაწილეობა მიიღეს ისტორიის მასწავლებელმა ქეთევან ქვლივიძემ, IXა და Xა კლასის მოსწავლეებმა.

სკოლის უმცროსკლასელთა გუნდი წარმატებით მონაწილეობს საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის გუნდის ინტელექტთამაშებში;

საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საერთაშორისო ურთიერთობათა და უცხო ენის კლუბებისა და საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთობლივი პროექტი „მე – ჩემი ქვეყნის მეგზური ვარ“, „ნორჩმა მეგზურმა“ დავით მეკოკიშვილმა ქართულ-ინგლისურ ენაზე ისაუბრა საგარეჯოს შესახებ, წარადგინა ვიდეოფილმი, სლაიდ-შოუ. მისმა პრეზენტაციამ დიდი მოწონება დაიმსახურა. ისტორიის მასწავლებელი ნაზი ბერიძე და დათო მეკოკიშვილი დააჯილდოვეს.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში.

სკოლას ჰყავს ეროვნულ ოლიმპიადებში მონაწილე და გამარჯვებული ბევრი მოსწავლე და სხვა, რომელთა ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება.

– ჩვენს გაზეთში ხშირად იწერება სპორტში წარმატებული თქვენი სკოლის მოსწავლეების შესახებ...

– კი, ჩვენი მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმული სპორტის სხვადასხვა სახეობებში და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევენ, რასაც ხელს უწყობს სკოლაში ჩატარებული მეცადინეობები, შიდასასკოლო ჩემპიონატი და სხვა სპორტული ღონისძიებები. ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა I ადგილი დაიკავეს მინი-ფეხბურთში გამართულ რაიონულ ჩემპიონატში „მხიარული სტარტები“. რეგიონულ შეჯიბრებაში კი მეორე ადგილი დავიკავეთ. ასევე, მონაწილეობა გვაქვს მიღებული მინი-ფეხბურთში „კოკა-კოლას“ თასზე, როგორც თქვენც აღნიშნეთ, გაზეთი „გარეჯის მაცნე“ რეგულარულად აშუქებს ჩვენი სკოლის სხვა სპორტსმენ-მოსწავლეთა წარმატებებს და როგორც იტყვიან, არც ამ მხრივ ჩამორჩებიან რამეში ჩვენი მოსწავლეები.

ისე, რომ ჩვენი სასწავლო დაწესებულება მუდმივად მუშაობის, მოძრაობის პროცესში იყო და არის და მომავალში უფრო მეტ შედეგებს მივაღწევთ იმ ეროვნულ და დიდმნიშვნელოვან საქმეში, რასაც ჩვენი ქვეყნის ღირსეული მომავალი თაობების სწავლა-აღზრდა ჰქვია.

ესაუბრა გივი დაგახიშვილი

პირველი დეკემბერი შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა!

XX საუკუნის „შავი ჭირი“

აშშ დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის მიერ 1982 წელს ოფიციალურად დარეგისტრირდა შიდსი – როგორც ახალი დაავადება

შიდსი (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი), რომელსაც ხალხმა XX საუკუნის შავი ჭირი უწოდა, სადღეისოდ მიჩნეულია კაცობრიობისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ თერმობირთვული ომის შემდეგ. ეს არის ინფექციური დაავადება, რომელსაც იწვევს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ). ეს ვირუსი უშუალოდ აზიანებს ადამიანის დამცველ, ე. წ. იმუნურ სისტემას და მწყობრიდან გამოყავს იგი, რის შედეგადაც ინფიცირებულ პირს ადვილად უჩნდება სხვადასხვა ინფექციური ან სიმსივნური დაავადებები, როგორც წესი, სასიკვდილო შედეგით.

თანამედროვე კლასიფიკაციით დაავადებას ეწოდება ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსული ინფექცია (აივ ინფექცია), ხოლო საკუთრივ ტერმინით ''შიდსი'' აღინიშნება დაავადების მხოლოდ ბოლო სტადია, როდესაც გამოიხატება დაავადების ძირითადი კლინიკური ნიშნები.

შიდსი რეგისტრირებულია მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის 206 ქვეყანაში. ოფიციალური მონაცემებით, სადღეისოდ მსოფლიოში შიდსის ვირუსით ინფიცირებულია 20 მილიონამდე ადამიანი, მათგან 80% სქესობრივი გზით დაავადდა. (აქედან 70% ჰეტეროსექსუალურ, ხოლო 10% ჰომოსექსუალურ კავშირებზე მოდის). აივ-ით ინფიცირებულია მსოფლიოში აღრიცხულ ნარკომანთა 80%.

ცნობილია შიდსის ვირუსის გადაცემის სამი გზა:

სქესობრივი კონტაქტით (ვაგინალური, ანალური და ორალური);

ინფიცირებული სისხლის ან მისი ცალკეული კომპონენტების გადასხმით (აივ ინფიცირებულის სისხლით დაბინძურებული შპრიცის, ნემსის და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებისას);

ინფიცირებული დედიდან ნაყოფზე ან ახალშობილზე გადაცემის გზით (მუცლადყოფნის, მშობიარობის ან ძუძუთი კვების დროს).საქართველოში ყველა ორსული უზრუნველყოფილია აივ/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირებით,ტესტირებით და მკურნალობით

გახსოვდეთ, შიდსის ვირუსი არ გადაეცემა:

ჰაერ-წვეთოვანი გზით, ნერწყვით, ხველით, ცხვირის დაცემინებით ან კოცნით. შესაბამისად, არ არის საშიში ინფიცირებულთან საუბარი;

საყოფაცხოვრებო და სოციალური კონტაქტებით. არ არის საშიში ხელის ჩამორთმევა, მოხვევა, ალერსი, დაავადებულის მიერ გამოყენებული ჭურჭლით, თეთრეულით, საერთო საპირფარეშოთი და აბაზანით სარგებლობა. არ არის საშიში აივ ინფიცირებულთან ერთად ყოფნა სასწავლო დაწესებულებებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, როგორიცაა კინოთეატრი, სტადიონი,

ვირუსის შეჭრიდან დაავადების გამოვლენის პერიოდი საშუალოდ 3-10 წელს გრძელდება, ინფიცირებული ადამიანი თავს პრაქტიკულად ჯანმრთელად გრძნობს. შიდსი კლინიკურად გამოვლინდება იმუნური სისტემის ღრმა დაზიანების შემდეგ და ხასიათდება მრავალფეროვანი სიმპტომატიკით. ყველაზე ხშირად **მას ახასიათებს:**

• ტემპერატურის უმიზეზო მომატება 1 თვეზე მეტი ხნის მანძილზე;

• ლიმფური კვანძების გადიდება;

• ძლიერი საერთო სისუსტე;

• მუქი წითელი ფერის ლაქები კანსა და ლორწოვან გარსებზე;

• გახანგრძლივებული პნევმონია (ფილტვების ანთება), რომელიც არ ექვემდებარება ჩვეულებრივ მკურნალობას;

• ძლიერი ოფლიანობა, განსაკუთრებით ღამით;

• თეთრი ფერის ნადები პირის ღრუს ლორწოვანზე;

• პათოლოგიური მოვლენები ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ და სხვ.

შიდსი საფრთხეს უქმნის მთელ მოსახლეობას, მაგრამ საზოგადოების მთელი რიგი ფენები, მათი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, გაზრდილი საფრთხის წინაშე დგანან. დღეისათვის საქართველოში აივ ინფექცია ძირითადად ნარკომანიის გზით ვრცელდება, გამოვლენილ ინფიცირებულთა 50% ინტრავენული ნარკომანია.

მაღალი რისკის ჯგუფებს აბრეთვე მიეკუთვნებიან:

• ჰომოსექსუალისტები;

• მეძავები და მათი პარტნიორები;

• ვენერიული სნეულებებით შეპყრობილნი;

• ტუბერკულოზით დაავადებულნი;

• ჰემოფილიით დაავადებულნი და სისხლის რეციპიენტები;

• მოგზაურები და სხვ.

საქართველოში შიდსის გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორებია

• ნარკომანიის ფართოდ გავრცელება (ინტრავენული ნარკომანთა სავარაუდო რიცხვი 200 000-ს აღემატება);

• მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მიგრაცია და არასახარბიელო ეპიდსიტუაცია საქართველოს მეზობელ ქვეყნებში შიდსის მხრივ;

• მოსახლეობის დაბალი სანიტარული კულტურა და შიდსის შესახებ ცოდნის დაბალი დონე;

• პრეზერვატივებით უზრუნველყოფის დაბალი დონე და მათზე ტრადიციულად დაბალი მოთხოვნილება;

• სამედიცინო აპარატურის, სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების, ერთჯერადი შპრიცებისა და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტების, სასტერილიზაციო საშუალებათა ნაკლებობა.

შიდსის ვირუსით ინფიცირების დიაგნოზის დასმა სპეციფიკური ლაბორატორიული გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია. შიდსის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულები სისხლში ჩნდება ორგანიზმში ვირუსის შეჭრიდან მხოლოდ 6-8 კვირის შემდეგ, ამიტომ გამოკვლევა უნდა ჩატარდეს შესაძლო ინფიცირების მომენტიდან სულ ცოტა თვენახევრის შემდეგ.

ბუნებრივია ,ჩნდება კითხვა – შესაძლებელია თუ არა შიდსისაგან განკურნება. დღეისათვის შიდსი აღარ არის სასიკვდილო განაჩენი .არსებობს პრეპარატები, რომლებიც იძლევა საშუალებას, რომ შიდსი მომაკვდინებელი დაავადებისაგან გადაიქცეს ქრონიკულ ,მართვად ინფექციად.

როგორ დავიცვათ თავი შიდსისაგან?

• დაიცავით ოჯახური სიწმინდე და ერთგულება ერთი ჯანმრთელი სქესობრივი პარტნიორისადმი;

• თავი შეიკავეთ შემთხვევითი სქესობრივი კავშირებისაგან ან ასეთი კავშირის შემთხვევაში აუცილებლად ისარგებლეთ პრეზერვატივით;

• არ დაუშვათ აივ ინფექციაზე შეუმოწმებელი სისხლისა და მისი პრეპარატების გადასხმა;

• ისარგებლეთ მხოლოთ ერთჯერადი ან სათანადოდ გასტერილებული შპრიცით და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტებით;

• ორსულმა ქალებმა ჩაიტარეთ გამოკვლევა შიდსის ვირუსზე, რათა თავიდან აიცილოთ ინფიცირებული ბავშვის დაბადება.

გახსოვდეთ, თქვენი ცხოვრების წესი - თქვენი ჯანრთელობის გარანტიაა!

შიდსზე (აივ ინფექციაზე) გამოკვლევა და კვალიფიციური კონსულტაციის მიღება შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის რესპუბლიკურ ცენტრში.

მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 16 ტელ: 39-80-18

გასმოკვლევისა და კონსულტაციის ანონიმურობა დაცულია!

ლელა ოთარაშვილი,

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორი

შეუძლებელი არაფერია

საგარეჯოში შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა

3 დეკემბერი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღედ (International Day of Persons with Disabilities) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით 1992 წლიდან იქნა დაწესებული. ეს არის თარიღი, რომელიც კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ უნდა ვიყოთ ტოლერანტულები ჩვენს გარშემო მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანამოქალაქეების მიმართ. ამ დღეს საქართველო უკვე მეშვიდედ აღნიშნავს. აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის ინიციატივით ქ.საგარეჯოს კულტურის სახლის მცირე დარბაზში გაიმართა შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან. ბავშვებისთვის ადგილობრივი მომღერლების შესრულებით მოეწყო კონცერტი, სადაც შშმ პირებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები. ღონისძიებას ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ერბოწონაშვილი, მერის მოადგილეები*** **ალეძსი გილაშვილი და პაატა ასრათაშვილი** ესწრებოდნენ. „შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, თქვენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები ხართ, ჩვენი ინიციატივით კიდევ არაერთი ღონისძიება ჩატარდება, რომელიც ხელს შეუწყობს თქვენს საზოგადოებასთან ინტეგრაციას“ – განაცხადა გიორგი ერბოწონაშვილმა. კონცერტის დასასრულს ბავშვებს თოვლის პაპამ სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის სტუდია „მი რე ლას“, მის ხელმძღვანელს მარინა ურდულაშვილს, მსახიობ მიხეილ ხოკერაშვილს და ღონისძიების თითოეულ მონაწილეს თანამშრომლობისთვის.

ახალი ლექსები

„პოეზია ნატიფი შურისძიებაა უხეში სამყაროს მიმართ“

თომას მანი

ელენე გელაშვილის ლექსებმა უკვე მეორედ შემოხსნა ჩვენი რედაქციის კარები. ელენე მერვე კლასის მოსწავლეა. შეიძლება ჯერ გაუბედავად ფერდეს, მაგრამ მის ლექსებში ადამიანად მოვლენის არსი და აზრი იკვეთება, სიცოცხლის, მუდამ მოძრაობის, ახლის ძიების სურვილი და სწრაფვა იბრძნობა...

ბორჯომში ტყის მასივში გაჩენილმა ხანძარმა ელენეს ეს ლექსი დააწერინა

გულში სიყვარული იწვის

ტყეს და მინდორს, მთას და ღელეს,
დასტყობია დიდი კვალი,
წითელ ფერად შეუღებავს
ცეცხლს – ამხელა საჩუქარი.
საქართველოს გულში ეწვის
წინაპართა სახსოვარი,
კაცთ მიუვალ ადგილას კი
საქართველოს სული ეწვის,
შემიბერეთ ხალხო, სული,
ნაცარტუტად დამრჩენია
ამდენი ხნის სიყვარული...
შემიბერეთ, სანამ დროა,
შემიბერეთ, ხალხო სული,
გულში სიყვარული, სიყვარული,
სიყვარული მეწვის...
ვერა წყალს და ვერა მაშველს
ვერ ჩაუქრიათ ეს ალმური,
ღმერთო! ლოცვით – გადმოგვხედე,
გულში სიყვარული გვეწვის...

***

თვალებში მაქვს ჩაკარგული სევდა
და ამაოდ ვეფერები შენს გზას,
არვინ იცის, რა ძნელია, კარგო,
მარტო ვარ და ვეფერები წარსულს...
გამიფრინდა ტკბილი მოგონება
და დაიწვა ჩემი მოკლე ზმანებაც,
ფიქრში გხედავ, ვერ ვივიწყებ
განვლილ დროს –
და იმედით ველოდები მომავალს...

მთვარის სევდა

მთვარეს შეეკითხნენ:
– რა გქვია პატარა
მთვარემ უპასუხა: სიბნელის სანთელი,
მე გზას გინათებდით ყრმობიდან აქამდე,
ახლოს არ ვუშვებდი მე საშიშს არაფერს,
მაგრამ მიმატოვეთ, აღარ მნახულობდით,
თავიდან მომიშორეთ,
უკმეხად მიმაგდეთ...
მე არ ვიშურებდი ხალხისთვის არაფერს,
მაგრამ, როგორც მუდამ,
ძაღლივით მიმაგდეთ.
აზრი ამერია, თავგზა ამერია,
ვეღარ მიპოვია ადგილი თქვენს გულში,
ისევ გამომაგდეთ, ისევ ამირიდეთ,
ისევ ამირიეთ გზა-კვალი...
ქარმა დაუბერა, ფიფქი ჩამოვარდა,
ქარმა დაუბერა, ცრემლი ჩამომვარდა,
ჩემს გულს დასტყობია ნაკაწრი ულევი,
ქარმა დაჰბერა და ისევ ამაჟრჟოლა,
ისევ ჩამომცვივდნენ ცრემლები ულევნი,
გაიგეთ, მთვარე ვარ, მეც კი მაქვს –
გული და ცრემლები...

ფიქრები კვლავ ახალ წიგნებზე

საგარეჯოელი ***შემოქმედი პოეტის (გამოცემული აქვს წიგნები: „კითხვის ნიშანი მრავალწერტილით“, „ასი სადღეგრძელო“, „რესპუბლიკა ურუქი“) როსტომ როსტიაშვილის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ქალბატონი ტატიანა ძნელაძე იყო. ანუა შვილების ოჯახის რძალმა, სამი ქალიშვილის დედამ, ცოდნას მოწყურებული ყმაწვილების სულს არაფერი დააკლო... საგანთან ერთად ღვთისა და ქვეყნის, სამშობლოს სიყვარული, ავისა და კარგის გარჩევა ასწავლათ. შვილებივით მოამზადა ცხოვრების ნარეკლიან გზაზე სასიარულოდ.***

პირად სატკივარ-ტრაგედიასთან ერთად ბევრი ნარ-ეკალი დახვდა გზაზე სამშობლოს ბედზე დაფიქრებულ როსტომს...

„დამდალა პირველობამ და ვერცხლის ყვარობამ ქართველთა,
თუ დამიჯერებთ, იცოდეთ, ასე ვერ გავზრდით მართველსა!
არ ვიცი, რაღა გვიშველის, თუ გზები ასე ხლართეთა!
რა პასუხს გავცემთ ღვთისმშობელს, ვისი სიცოცხლეც გვმართებსა“...

მოთმინებამ, მტრისა და ჩვენი მოკეთის ერთნაირმა სიყვარულმა, სულისა და ხორცის წვალებამ „არია ქვეყანა“...

„ოჯახებს ქმნიან უქალოს,
ცოლი შეურთავს მზექალას“...

მიუხედავად დიდი განსაცდელისა, „სისხლით დამთვრალი ომის ღმერთის სიცილისა“, ახალგაზრდა კაცი დიდი იმედით ხვდება ყოველი დღის გათენებას, ოქროსფერი შემოდგომის ჩახჩახა მზის ამობრწყინებას და ადღეგრძელებს „სიყვარულით გაჟღენთილ წარსულთან“ ერთად:

* * *

„სანთელს და ნიშას
დიდ ტაძრისაკენ გზებსაც მიმავალს.
და ქართველობას, ჩვენს პირველ ნიშანს.
ახალგაზრდობას – ქვეყნის მომავალს“.
„საქრისტიანო მირონს – მომნათლავს!..“
და მანდილს – ქალის დამამშვენებელს“.
„შუაცეცხლის კვამლს ჩვენი ოჯახის,
და დიასახლისს – დუდაბს, საძირკველს,
პატარა სარკმელს ჩვენი ოთახის,
ურთიერთობას, მართლაც საკვირველს...“

ლია ჭანკვეტაძე

ნათელა ჭანტურია-მჯედლიშვილი ***საგარეჯოს IV საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო. იგი აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა. თუმცა წლები მოემატა, მაინც ცდილობს არ ჩამორჩეს სიცოცხლის მაჯისცემას.***

კლდე

ბარათაშვილის აღმართზე კლდეა,
ბარათაშვილის ცრემლებით ტირის!
პატარა ტატო გაცოცხლებულა
და ხელმეორედ ნეტა ვის ტირის?!
კლდეს ლოლოები დაეკიდება,
შეეყინება ზამთარში თხემი.
და გაზაფხულზე კლდის წამწამებზე
გადმოეშვება დამდნარი ცრემლი.
ბარათაშვილის აღმართზე კლდეა,
ბარათაშვილის ცრემლებით ტირის!

დამშვიდობება

ოთხმოცი წლის ვარ!
და მაინც ვერ ვგრძნობ,
ვარ ფიზიკურად ჯანმრთელი ქალი!
სიბერე მოდის?!
მოვიდა?! როდის?!
სხვა ყველა მიდის
და ყველა მოდის!
ვახსენებ ყველას –
ჯერ ვარ ცოცხალი,
თავს მახვევია
შვილები დიდი!

სპორტი

ძიუდო

ყვარელში, როინ მაღალთაძის ღია ტურნირზე

2-3 დეკემბერს ყვარელში ჩატარდა ევროპის ჩემპიონის როინ მაღალთაძის სახელობის VII ღია ტურნირი ძიუდოში 2004-2005 და 2006-2007 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის. ერთი პირველი, ერთი მეორე და 6 მესამე საპრიზო ადგილი, ასეთია ტურნირში მონაწილე აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ სპორტსმენთა შედეგი.

2004-2005 წლებში დაბადებულთა შორის II პრიზიორი და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა დავით შალვაშვილი (55კგ), 38 კგ წონით კატეგორიაში III საპრიზო ადგილზე გავიდა თენგო მაისაშვილი, გიორგი დურიშვილმა კი ბრინჯაოს მედალი 60 კგ-ში მოიპოვა.

2006-2007 წლებში დაბადებულთა შორის საგარეჯოელთა შედეგები ასეთია: შოთა ბაჩოშვილი (27კგ) – I ადგილი; ონისე ბორაშვილი (30კგ), გიგა ბაქარაშვილი (30კგ), ლაშა ტიგინაშვილი (34კგ), ბექა დიღმელაშვილი (მძიმე წონა) – ყველა III ადგილი.

რუსეთიდან გამარჯვებულები დაბრუნდნენ

8 დეკემბრიდან 12 დეკემბრის ჩათვლით, რუსეთის ფედერაციაში, ქ.სოსნოვი ბორში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, ჭაბუკთა შორის, სადაც საგარეჯოელმა ძიუდოისტებმა წარმატებით იასპარეზეს და ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. საერთაშორისო ტურნირში საქართველოსთან ერთად მონაწილეობას რუსეთის, იაპონიის, საბერძნეთის და ბელორუსიის გუნდები იღებდნენ.

საგარეჯოელმა ძიუდოსტება ჯამში 7 მედალი – 1 ოქრო, 1 ვერცხლი და 5 ბრინჯაო მოიპოვეს.

I ადგილი (ოქროს მედალი) – დავით კევლიშვილი

II ადგილი (ვერცხლის მედალი) – ნიკოლოზ თათრიშვილი

III ადგილი (ბრინჯაოს მედალი) – გიგი ხოსიტაშვილი, თენგო ზირაქაშვილი, მახარე გულბანი, გიორგი დურიშვილი, ნიკოლოზ თათრიშვილი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს საგარეჯოელ ძიუდოისტებს გამარჯვებას და უფრო დიდ წარმატებებს უსურვებს.

თავისუფალი სტილის მოჭიდაველებმაც გვასახელეს

2 დეკემბერს გურჯაანში ჩატარდა ნოდარ ზავრაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც დიდი წარმატებით იასპარეზეს აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ფალავნებმა. მათ ტურნირში საერთო ანგარიშში 6 პირველი, 4 – მეორე და ორი მესამე ადგილი დაიკავეს. კერძოდ, შესაბამის წონით კატეგორიებში ტურნირის ჩემპიონები გახდნენ დავით კუჭუაშვილი, გიგი ქურხული, თორნიკე ასაბაშვილი, თორნიკე თულაშვილი, ნიკა საგინაშვილი, გიორგი საგინაშვილი.

ვერცხლის მედლების მფლობელები გახდნენ: დავით ქურხული, შალვა გულისაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი ქისტაური. მესამე ადგილზე გავიდნენ – ნიკა და გიორგი მელაშვილები.

გივი დაგახიშვილი

კიკბოქსინგი და K-1

რინგზეც და გამარჯვების კვარცხლბეკზეც იორმუღანლოელი „მოჩხუბრები“ არიან

ხუთი წელია, რაც იორმუღანლოელი მწვრთნელები: იბრაჰიმ მამედოვი და რახმან გუსეინოვი კიკბოქსინგისა და K-1 საბრძოლო ხელოვნებას აუფლებენ მუღანლოს, იორმუღანლოსა და ლამბალოს საჯარო სკოლების 50 მოზარდს. მართალია, ამ უკანასკნელ ხანებამდე თავიანთი აღსაზრდელების წვრთნა მათ პრიმიტიულ პირობებში, თავიანთი ხელით მოწყობილ სპორტულ დარბაზში უწევდათ, მაგრამ ამას ხელი სულაც არ შეუშლია მათ მოსწავლეებს წარმატებები ეზეიმათ, როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონის ასპარეზობებში.

იბრაჰიმ მამედოვისა და რახმან გუსეინოვის მებრძოლებმა წარმატებით იასპარეზეს 8-9-10 ოქტომბერს საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სპორტული კომპლექსის არენაზე საქართველოს კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით გამართულ კავკასიის ჩემპიონატში კიკბოქსინგსა და K-1 საბრძოლო ხელოვნებაში, რომელშიც ირანის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს უფროსი და უმცროსი ასაკის სპორტსმენები იღებდნენ მონაწილეობას. იბრაჰიმ მამედოვის განმარტებით, ასპარეზობაში ჩვენი 14 იორმუღანლოელი მებრძოლი იღებდა მონაწილეობას. აქედან 4 – უფროსი, დანარჩენი კი უმცროსი ასაკის სპორტსმენებში. მათგან დიდებში მონაწილე 4 სპორტსმენიდან ოთხივე: ელმარ ჯივიროვი, ველი ქაზიმოვი, ანარ ალახვერდიევი და ვაგიფ იოლჩიევი გახდნენ კავკასიის ჩემპიონები და ამისთვის დაწესებული ქამრების მფლობელები. დანარჩენი უმცროსი ასაკის 10 ბავშვიდან პირველი ადგილები დაიკავა ხუთმა, ორმა – მეორე და სამმა – მესამე ადგილი, რომელთაც გადაეცათ კიკბოქსინგის ეროვნული ფედერაციის შესაბამისი მედლები, სიგელები და ქამრები.

იორმუღანლოელი „მოჩხუბრები“ წარმატებით გამოვიდნენ ქ. რუსთავში კიკბოქსინგისა და K-1 საბრძოლო ხელოვნებაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზეც, რომელიც 25-26 ნოემბერს ჩატარდა. მასში მონაწილეობას იღებდნენ ირანის, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კიკბოქსინგელები. იბრაჰიმ მამედოვისა და რახმან გუსეინოვის გუნდი ამ შეჯიბრებაში საგარეჯოს სახელით ჩაება, სადაც ტურნირის (დიდებში) ჩემპიონები გახდნენ ანარ ალახვერდიევი და ელმარ ჯივიროვი. ასეთივე შედეგით დატოვა საბრძოლო რინგი უმცროს ასაკში მონაწილე მათმა ოთხმა აღსაზრდელმა. ამდენივე გახდა მეორე, შვიდი კი მესამე პრიზიორი.

4 დეკემბერს იორმუღანლოელ კიკბოქსინგელებს და მათ მწვრთნელებს წინ დიდი გამოცდა ელოდათ. თურქეთში, ქალაქ სტამბოლში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც ისინი ოთხი სპორტსმენით წარდგნენ. მსოფლიო ჩემპიონი 48 კგ. წონით კატეგორიაში გახდა ელვან ქაზიმოვი.

გოგი დაგანიშვილი

ჰეი, ვინ მოდის, მანდ, მომავლიდან?!“

იცის „ვისი გორისაცაა“

პატარა ბიჭის დიდი ოცნება

საგარეჯოს ქუჩებში ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, პატარა, ლამაზთვალება ბიჭი დააბიჯებს. ერთი შეხედვით, ვამბობთ, რადგან ვინც თემუკას არ იცნობს, ვერც იფიქრებს ამ ასაკით პატარა – მეორეკლასელის მკერდში რა დიდი, ვეებერთელა გული ფეთქავს. და მერე როგორ ფეთქავს?! – სიყვარულით გამთბარი, დიახ, სიცოცხლეზე, საქართველოზე, საგარეჯოზე უზომოდ შეყვარებული. თავისი თანატოლებივით მოსწონს და სიამოვნებს კომპიუტერთან ჯდომა, მაგრამ იქიდან მხოლოდ ინფორმაციას იღებს – საინტერესოს და აუცილებელს – საქართველოზე, ეკლესია-მონასტრებზე, სპორტზე, პოეზიაზე... ახლახანს დაამთავრა წიგნის „მსოფლიო საოცრებების“ კითხვა. თანაც წუთი რა არის, წუთიც არა აქვს მოცლა – ქორეოგრაფიული ანსამბლის „იმედის“ მოცეკვავეს, ბავშვთა თეატრალური წრის წევრს, ღონისძიებების წამყვანს, დეკლამატორს თითქოს მოცლაც არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ მაინც ასწრებს ინგლისურზე სიარულს, ფეხბურთის თამაშს, იარაღის არსენალის კოლექციონერობას...ახლახანს შეწყვიტა ფეხბურთზე სიარული – თან სწყინს, თან უხარია – არა უშავს, ცოტა ხანს მოიცდის, ოღონდ საგარეჯოს საფეხბურთო მოედანს მართლაც კარგი რეაბილიტაცია ჩაუტარდეს...

სცენას, მაყურებელს ისე მიეჩვია, მისთვის ჩვეულებრივი გარემოა. 3 წლისამ არტგენის ფესტივალზე იცეკვა, ჟიურიმ ახლოს გაცნობაც კი მოისურვა პატარა მოცეკვავის. ჭოლამ გვარი ჰკითხა – ჭიაურელი ვარო, ამაყად შეაგება თემუკამ პასუხი. – მაშინ აღარაფერი მიკვირსო, – თავისი საფირმო ღიმილით მოეფერა პატარა მოცეკვავეს ჭოლა. თემუკაც მიხვდა, განა ვერ მიხვდა, ვინც იგულისხმა ჭოლამ – მიხეილ ჭიაურელი – რეჟისორიო და სოფიკო ჭიაურელი – მისი შვილი – მსახიობიო, – მიხსნის თემუკა.

ხოდა, ჭიაურელების ამ პატარა ვაჟკაცსაც მსახიობობა დაუსახავს მიზნად. – რა ვიცი, პროფესიას მართმევ ჩემო პატარა მეგობაროო, – უთქვამს თემუკას საყვარელ მსახიობს პაატა ქვლივიძეს, – აქამდე ღონისძიებები მე მიმყავდა, ახლა წამყვანი შენს შემდეგ როგორღა ვიქნებიო.

მართლაც ძალიან მოეწონათ „ფერიების მეჯლისზე“ და „ბებიების საღამოზე“ თემუკას წამყვანობა მაყურებელს, მის მიერ წაკითხულ ლექსებს ხომ აღფრთოვანებაში მოჰყავს მსმენელი. რატომღაც მგონია და თქვენც დარწმუნდებით – დიდი მეტოქე გამოუჩნდა ტიციან ტაბიძის ლექსის „მეარღნეები და პოეტები“ წამკითხველ მურმან ჯინორიას. და თუ არ გჯერათ, ერთხელ მაინც მოუსმინეთ თემუკას...

„ტელე-შოუშიც“ მიიწვიეს, „ნანუკას შოუში“. აქ 700 ბავშვი იღებდა მონაწილეობას, მათგან 120 დარეგიუსტრირდა. მისთვის პრივილეგია ჭიაურელობას არ მიუნიჭებია. ბოლო ქასტინგზე 7 ბავშვიდან თემუკა შეარჩიეს. თემუკა ვიზუალურადაც მოეწონათ და მის მიერ არჩეული თემაც: ძალადობა და საქართველოს დაკარგული ტერიტორიები. რა ქნას, პატარა ბიჭია, მაგრამ, ვერ იტანს, როცა ვინმეს ჩაგრავენ, როცა ვინმეს უმიზეზოდ ემუქრებიან, როცა ბავშვს სიღარიბის გამო დასცინიან – ის პატარა, სიყვარულით გამთბარი გული ეწურება და ესარჩლება, გაჭირვებულს რაღაცნაირად „ეხმარება“ – ჯიბის ფულს მისცემს, ფუნთუშას გაუყოფს... მეგობრები, ამხანაგები ბევრი ჰყავს, თითქმის ყველგან. სიმღერაზეც დადიოდა, მარინა ურდულაშვილის „მირელაში“, მცირე ხნით „შეისვენა“, მალე ხატვაზე მივა – აინტერესებს, გაზაფხულზე ცურვაზე, ფეხბურთზე. ახალ-ახალ მეგობრებს შეიძენს, მაგრამ ყველაზე დიდი, უღალატო მეგობარი მზია ბებო ყოფილა – ნანუკას შოუში 500 ნაწილიანი „ლეგოს“ სათამაშო აჩუქეს. ორ ღამეში ააწყეს ბებია-შვილიშვილმა – ინტერესით, მონდომებით, სიხარულით... ყოველი დღის განრიგ-გრაფიკი იცის ბებომ... ზოგჯერ დედიკოს და მამიკოს არ სცალია, მაშინ ბებო მთელი ძალებითაა მასთან „ჩართული“...

თემუკა ახლა საახალწლოდ თოვლის პაპის მთავარი როლისათვის ემზადება თავის მეგობრებთან ერთად – აქამდე თუ თეატრალური წრის მიერ წარმოდგენილ სპექტაკლებში ჩვეულებრივ როლებს ასრულებდა, ახლა მთავარ როლს შეასრულებს.

ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა, დიდი რუდუნებით, თავდაჯერებულობით მიუყვება მსახიობობისაკენ მიმავალ მეტად რთულ გზას. ვინ იცის, იქნებ ამერიკელ მსახიობ კრის ვაილზე მეტად ცნობილიც გახდეს, თუმცა, აქედანვე კრისზე მეტად ლამაზიცაა და თანაც ქართველი. ქართველი, რომელსაც სისხლში მიზანდასახულობა, გამარჯვებისკენ სწრაფვა აქვს კოდად ჩადებული.

მაშ გამარჯვებით გევლოს, ჩვენო პატარა გარეჯელო!

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

რედაქტორი:
თინათინ ილაური

მადლობა

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მესვეურებს დიდ მადლობას ვუხდით ბიძინა კევლიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის ჩატარების ორგანიზებისათვის. საგარეჯოში კვლავაც ბევრი სასახელო სპორტსმენი აღზრდილიყოს.

პატივისცემით:
ბიძინა კევლიშვილის ოჯახი